სსრ კავშირის თასზე

გრძელდება მეთექვსმეტედფინალური მატჩები.

თბილისის დინამოელებს 4 მარტს გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ ხარკოვის "მეტალისტთან". ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თავდაპირველი გადაწყვეტილებით ეს მატჩი თბილისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ხარკოველებმა პირველი თამაში საკუთარ მინდორზე მოითხოვეს.

ხარკოვის "მეტალისტის" სტადიონის ადმინისტრაციამ ყველა ზომას მიმართა სათამაშო მინდვრის წესრიგში მოსაყვანად, მაგრამ ამ დღეს საგრძნობლად ყინავდა და გაქვავებული თოვლით დაფარული მინდორი სათამაშოდ არ ვარგოდა.

უნდა ითქვას, რომ ამ პირობებში თბილისის დინამოელებმა ვერ გამოიჩინეს საჭირო საბრძოლო თვისებები, მობილიზება და მონდომება, ხოლო მახპინძლები, მათგან განსხვავებით, თავდაუზოგავად თამაშობდნენ. ბრძოლის ბედიც სწორედ ამან გადაწყვიტა.

ანგარიში 78-ე წუთზე გახსნა "მეტალისტმა": იგნატენკომ ძნელი მდგომარეობიდან შეძლო გოლით დაემთავრებინა ფლანგური გადაცემა - 1:0. გავიდა 4 წუთი და "დინამოს" კართან ზუსტად ასეთივე გადაცემა გამეორდა. თბილისელთა მცველმა ებრალიძემ დაასწრო მოწინააღმდეგეებს, მაგრამ სწორად ვერ დაარტყა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. გაიმარჯვა "მეტალისტმა" - 2:0.

"დინამო" ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, კანთელაძე, ებრალიძე, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი, 53-ე წ.), ლ. ნოდია.

"ლელო", 7 მარტი, 1972 წ.